- რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებადი ვალდებულების ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს კაპიტალის ინსტრუმენტს, შეიძლება ვალდებულების პირობებს გავლენა არ ჰქონდეს მის კლასიფიკაციაზე.

გარდა ამისა, კომპანია ვალდებულია გაამჟღავნოს, როდესაც სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც არამიმდინარედ და გადავადების უფლება დამოკიდებულია მომავალი კოვენანტების შესრულებაზე მომდევნო თორმეტ თვეში.

მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები – ბასს 7 და ფასს 7-ის შესწორებები

ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტების შესწორებები:

შეტანილი შესწორებები განმარტავს მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებს და მოითხოვს დამატებით გამჟღავნებას მსგავსი შეთანხმებებისა.

გამჟღავნების მოთხოვნები შეტანილ შესწორებებში მიზნად ისახავს დაეხმაროს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს გაიგონ, თუ როგორ აისახება მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები ორგანიზაციის ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებსა და ლიკვიდურობის რისკზე.

აღნიშნულ ცვლილებებს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა თუმცა ჯერ არ შესულა ძალაში

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ტ) ახალი, შევსილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან. წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში. გამომდინარე იქედან რომ კომპანიას ყველა ტრანზაქცია ნომინირებული გაცვლითუნარიან მქონე ვალუტაში, შესაბამისად მის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს, ზემოთ მოხსენიებული ცვლილება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

5. წინა პერიოდების შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ნაშთების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ცვლილებები შეეხო მიღებული სესხების საბოლოო ნაშთებს და განხორციელდა დროთი ღირებულების ეფექტის გამიჯვნა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით :

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
სესხები	24,629,859	(776,414)	23,853,445
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(12,547,152)	776,414	(11,770,739)

2023 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი	(2,115,161)	(157,230)	(2,272,391)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
სესხები	17,623,890	933,645	18,557,535
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(11,840,034)	(933,645)	(10,906,389)

6. ამონაგები

ამონაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ამონაგები სპირტის რეალიზაციიდან	35,981,177	3,318,060
ყურნძის მიღება დამუშავების და ღვინომასალის სპირტად გამოხდის მომსახურება*	4,975,459	2,360,609
სულ ამონაგები	40,956,636	5,678,669

*ჯგუფი დაკავშირებულ მხარეებს უწევს ღვინო მასალის ჩამოსხმა და წარმოების მომსახურებას.

7. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(35,515,519)	(1,580,687)
მომსახურების თვითღირებულება	(2,273,551)	(228,086)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,908,647)	(438,450)
ხელფასის ხარჯი	(1,345,566)	(220,594)
არაპირდაპირი ხელფასის ხარჯი	(663,914)	(108,069)
დამხმარე მასალების ხარჯი	(25,559)	(20,253)
სხვა ხარჯი	(164,102)	(21,960)
სულ თვითღირებულების ხარჯი	(41,896,858)	(2,618,099)

შპს „საქართველოს სპირტსახელების გაერთიანება“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(8,125,137)	-
ხელფასის ხარჯი	(870,137)	(715,921)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი/ ამობრუნება	(441,549)	49,540
ცვეთა და ამორტიზაცია	(146,935)	(22,330)
ტრანსპორტირების ხარჯი	(120,727)	(60,842)
ბანკის საკომისიო	(78,117)	(84,593)
იჯარის ხარჯი	(63,216)	(49,136)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(58,796)	(62,724)
რემონტის ხარჯი	(58,734)	(880,426)
დაზღვევის ხარჯი	(23,987)	(16,344)
კომუნიკაციის ხარჯები	(9,964)	(10,995)
საგადასახადო ხარჯი	(6,547)	(134,468)
სამეურნეო ხარჯი	(1,947)	(666)
საკანცელარიო ხარჯი	(1,094)	(764)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(132,753)	(100,739)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,139,640)	(2,090,408)

9. წმინდა (ზარალი) / შემოსავალი საკურსო სხვაობიდან

წმინდა (ზარალი) / შემოსავალი საკურსო სხვაობიდან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

წმინდა (ზარალი)/ შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	825,240	(100,045)
მოკლევადიანი სესხები	483,423	541,845
საიჯარო ვალდებულება	12,600	-
ფული და ფულის ექვივალენტები	(4,938)	(80,088)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(475,422)	(1,501)
სულ წმინდა შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	840,903	360,211

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები, წმინდა

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სუბსიდი - პროცენტის თანადაფინანსება, წმინდა*	293,301	-
იჯარებიდან მიღებული შემოსავალი	53,895	90,350
მოგება ძირითადი საშუალების გასვლიდან	13,800	-
იჯარის გაუქმებიდან მიღებული შემოსავალი	-	37,625
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	360,996	127,975
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოფასებიდან	(341,823)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(9,500)	(6,027)
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(351,323)	(6,027)
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი წმინდა	9,673	121,948

*კომპანია მონაწილეობს "შეღავათიანი აგროკრედიტის" პროექტში. აღნიშნული პროგრამა მიმართულია ქვეყანაში აგრო სექტორის განვითარების და მხარდაჭერის, საწარმოების შექმნის ხელშეწყობის და არსებული საწარმოების განვითარებისკენ. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო" კომპანიას უფინანსებს ყურძნის შეძენას საბრუნდე სპირტის და ღვინის წარმოებისთვის შეძენისთვის მიღებული სესხების პროცენტს. 2024 წლის განმავლობაში დაფინანსებამ შეადგინა 4,140,059 ლარი (2023 წელი: 0 ლარი). კომპანია წარადგენს დაფინანსებიდან მიღებულ შემოსავალს და ფინანსურ ხარჯებს ნეტო საფუძველზე

შპს „საქართველოს სპორტსახდელის გაერთიანება“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2024, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავჯი და კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
დეკემბერი 31, 2022	3,475,805	5,243,078	10,381,599	55,391	35,450	17,486	32,649	19,241,458
შემოსვლა	-	83,066	236,484	4,795	91,493	1,267	3,913	421,018
დეკემბერი 31, 2023	3,475,805	5,326,144	10,618,083	60,186	126,943	18,753	36,562	19,662,476
შემოსვლა	-	141,575	329,174	209,321	-	508	81,544	762,122
აფასება	50,481	988,863	2,264,736	14,463	13,449	10,791	12,571	3,355,354
ჩამოფასება	(9,365)	(710,230)	(151,643)	(2,241)	-	(104)	(2,796)	(876,379)
ცვეთის გადახურვა	-	(1,001,107)	(3,781,370)	(35,707)	(27,025)	(13,839)	(19,551)	(4,878,599)
გასვლა	-	-	-	-	(28,000)	-	-	(28,000)
დეკემბერი 31, 2024	3,516,921	4,745,245	9,278,980	246,022	85,367	16,109	108,330	17,996,974
დაგროვილი ცვეთა								
დეკემბერი 31, 2022	-	(494,667)	(1,971,521)	(17,015)	(14,180)	(6,756)	(9,969)	(2,514,108)
ცვეთა	-	(269,349)	(1,034,604)	(11,912)	(11,665)	(4,645)	(6,162)	(1,338,337)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2023	-	(764,016)	(3,006,125)	(28,927)	(25,845)	(11,401)	(16,131)	(3,852,445)
ცვეთა	-	(237,091)	(775,245)	(6,780)	(17,980)	(2,438)	(3,420)	(1,042,954)
ცეთის გადახურვა (გადაფასებისას)	-	1,001,107	3,781,370	35,707	27,025	13,839	19,551	4,878,599
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	16,800	-	-	16,800
დეკემბერი 31, 2024	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება								
დეკემბერი 31, 2022	3,475,805	4,748,411	8,410,078	38,376	21,270	10,730	22,680	16,727,350
დეკემბერი 31, 2023	3,475,805	4,562,128	7,611,958	31,259	101,098	7,352	20,431	15,810,031
დეკემბერი 31, 2024	3,516,921	4,745,245	9,278,980	246,022	85,367	16,109	108,330	17,996,974

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები სრულად იყო დატვირთული იპოთეკით მესამე პირის სასარგებლოდ.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა სრულად გაცვეთილი და მოხმარებაში არსებული აქტივები.

შპს „საქართველოს სპირტსახდელეების გაერთიანება“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

12. გუდვილი

შპს „საქართველოს სპირტსახდელეების გაერთიანება“-მ მოახდინა 2017 წლის 20 ივლისს შპს „უნივერსალ სპირიტი“-ს სრული 100% -ის წილის შესყიდვა, რის შედეგადაც წარმოიშვა გუდვილი.

13. მარაგები

მარაგები 2024, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სპირტი	34,129,520	18,028,185	3,768,116
სასპირტე ნედლეული მასალა	12,159,039	25,682,587	3,902,339
სხვა	5,994	5,009	8,783
სულ მარაგები	46,294,553	43,715,781	7,679,238
მარაგების რეზერვი	(8,125,138)	-	-
სულ მარაგები	38,169,416	43,715,781	7,679,238

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024; 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	24,099,889	478,533	2,625,748
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(753,313)	(309,382)	(381,268)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,346,576	169,151	2,244,480

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	(309,382)	(381,268)	(230,475)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(476,940)	(132,389)	(150,793)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაუქმება	33,009	204,275	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	(753,313)	(309,382)	(381,268)

კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, ჯგუფმა დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ჯგუფი ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს გაწეული ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში. ამ რეზერვის მთავარი კომპონენტები მოიცავს ზარალის სპეციფიკურ კომპონენტს, რომელიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებებს და კოლექტიური ზარალის კომპონენტს უკავშირდება, რომელიც დგინდება მოთხოვნის ვადაგადაცილებიდან ჩამოწერამდე თანმიმდევრულ ეტაპებს შორის გადასვლის ალბათობაზე დაფუძნებული, პატარა ნაშთების დიდი ოდენობისთვის.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ ჯგუფი აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სარეზერვო ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ ჯგუფი არ მიიღებს დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას იმისას, რომ შეუძლებელია მართებული თანხის ამოღება; ასეთ შემთხვევაში, თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში. ჯგუფს სჯერა, რომ არ არის აუცილებელი გაუფასურების რეზერვი ვადაგადაცილებულ სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში, გარდა უკვე გათვალისწინებულისა.

შპს „საქართველოს სპირტსახდელის გაერთიანება“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილებას და მოსალოდნელი გაუფასურების ანარიცხს:

31 დეკემბერი 2024	ვადაგადა- ცილებული	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცი- ლებით	30 -90 დღის ვადაგადაც- ილებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცი- ლებით	სულ
საბალნასო ღირებულება	23,231,652	50,253	129,134	688,850	24,099,889
მსდ არსებობის მანძილზე	-	106	64,357	688,850	753,313

31 დეკემბერი 2023	ვადაგადა- ცილებული	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცი- ლებით	30 -90 დღის ვადაგადაც- ილებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცი- ლებით	სულ
საბალნასო ღირებულება	166,027	1,000	4,050	307,456	478,533
მსდ არსებობის მანძილზე	-	101	1,825	307,456	309,382

31 დეკემბერი 2022	ვადაგადა- ცილებული	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცი- ლებით	30 -90 დღის ვადაგადაც- ილებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცი- ლებით	სულ
საბალნასო ღირებულება	-	579,754	1,170,609	875,385	2,625,748
მსდ არსებობის მანძილზე	-	100	800	380,368	381,268

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024; 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	92,153	133,712	981
ფული რეზიდენტ ბანკებში ეროვნულ ვალუტაში	22,637	26,584	58,798
ფულადი სახსრები სალაროში	1,081	2,376	846,812
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	115,871	162,672	906,591

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკებსა და ფინანსური ინსტიტუტებში, რომლებსაც Fitch- ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ შეფასებები BB- (გრძელვადიანი რეიტინგი) და B (მოკლევადიანი რეიტინგი). ჯგუფი არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაჰენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

შპს „საქართველოს სპირტსახდელის გაერთიანება“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

16. მიღებული სესხები

ჯგუფის მიღებული სასესხო დავალიანებები 2024; 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შედგება:

	დაფარვის თარიღი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დეკემბერი 31, 2024	დეკემბერი 31, 2023	დეკემბერი 31, 2022
გიორგი ლამბაშიძე*	05-აგვ-23	ლარი	0%	-	2,401,172	2,230,518
ვახტანგ კარიჭაშვილი*	05-აგვ-23	ლარი	0%	-	10,514,222	10,177,961
სს საქართველოს ბანკი	09-ოქტ-26	ლარი	12.00%	26,619,544	15,000,000	-
ვახტანგ კარიჭაშვილი	14-ოქტ-26	აშშ დოლარი	0%	789,125	3,920,155	4,462,000
სესხი ბანკისგან (სს საქართველოს ბანკი)	10-ივნ-24	ლარი	საბაზისო განაკვეთს+6%	-	220,927	645,649
სესხი ბანკისგან (სს საქართველოს ბანკი)	02-ოქტ-26	ლარი	საბაზისო განაკვეთს+4%	18,638,915	4,630,192	331,563
სესხი ბანკისგან (სს საქართველოს ბანკი)	21-სექ-26	ლარი	12.00%	8,150,960	10,848,657	-
სულ მიღებული სესხები				54,198,544	47,535,325	17,847,691

სესხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხების მოძრაობა:	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	47,535,325	17,847,691
სესხის მიღება	30,000,000	30,397,900
გადახდილი ძირი	(6,365,560)	(999,285)
გადახდილი პროცენტი	(185,704)	(12,479)
პროცენტის თანადაფინანსება	(2,118,411)	-
კაპიტალში გადატანა	(16,008,949)	-
საკურსო სხვაობების წმინდა ეფექტი	(483,423)	(541,844)
საპროცენტო ხარჯი	1,825,266	843,342
31 დეკემბრის მდგომარეობით	54,198,544	47,535,325

*კომპანიას მიღებული აქვს დამფუძნებლებისგან გრძელვადიანი სესხები, ნულოვანი პროცენტით. ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად კომპანია ახდენს რეალური საპროცენტო განაკვეთით პროცენტის აღიარებას და კაპიტალის კომპონენტად გადატანას.

სხვა ვალდებულებები წარმოადგენს მიღებული სესხის დისკონტირების ეფექტს.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	10,098,851	6,080,508	2,828,645
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16,148	8,610	4,976
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,114,999	6,089,118	2,833,621

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. ჯგუფს გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახდა.

18. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს მომხმარებლების მხრიდან პროდუქციის შესასყიდად წინასწარ გადახდილ თანხებს, რომელთა ჯამური ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,402,812 ლარს (2023: 1,949,122 ლარი; 2022: 3,154,361 ლარი).

19. საგადასახადო ვალდებულებები

გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების N 407 შესაბამისად., რომელთა ჯამური ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 145,580 ლარს (2023 წელს: 106,934 ლარი; 2022 წელს: 97,623 ლარი).

20. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ ჯგუფს დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი არსებითი დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

21. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის მენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია ჯგუფის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. **ფინანსური რისკი მოიცავს:**

- საკრედიტო რისკს;
- საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით);
- ლიკვიდურობის რისკს.

ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის: რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

შპს „საქართველოს სპირტსახდელის გაერთიანება“
 კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაქტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაქტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაქტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო იურიდიული, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნეულების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	23,346,576	169,151	2,244,480
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	115,871	162,672	906,591
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	23,462,447	331,823	3,151,071

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

ჯგუფის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს. მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ხანდაზმულობის და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც გადმოცემულია შენიშვნაში 14.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოუშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი, 2024	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,379,329	10,966,747	-	23,346,076
სხვა მიმდინარე აქტივები	500	-	-	500
ფული და ფულის ეკვივალენტები	23,746	91,880	245	115,871
სულ ფინანსური აქტივები	12,403,575	11,058,627	245	23,462,447
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	53,409,419	789,125	-	54,198,544
საიჯარო ვალდებულებები.	-	-	765,411	765,411
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,483,319	8,621,498	10,182	10,114,999
საგადასახადო ვალდებულება	145,580	-	-	145,580
სულ ფინანსური ვალდებულებები	55,038,318	9,410,623	775,593	65,224,534
ღია საბალანსო პოზიცია	(42,634,743)	1,648,004	(775,348)	(41,762,087)

შპს „საქართველოს სპირტსახდელის გაერთიანება“
 კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი, 2023	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	112,984	49,688	-	162,672
სულ ფინანსური აქტივები	112,984	49,688	-	162,672
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,539,134	549,984	-	6,089,118
სესხები	43,615,170	3,920,155	-	47,535,325
სულ ფინანსური ვალდებულებები	49,154,304	4,470,139	-	53,624,443
ღია სავალუტო პოზიცია	(49,041,320)	(4,420,451)	-	(53,461,771)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი, 2022	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	393,542	1,850,938	-	2,244,480
ფული და ფულის ეკვივალენტები	59,852	846,712	27	906,591
სულ ფინანსური აქტივები	453,394	2,697,650	27	3,151,071
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,794,402	29,681	9,538	2,833,621
სესხები	13,385,691	4,462,000	-	17,847,691
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,180,093	4,491,681	9,538	20,681,312
ღია სავალუტო პოზიცია	(15,726,699)	(1,794,031)	(9,511)	(17,530,241)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს

სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. საკურსო სხვაობის გავლენა წმინდა მოგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2024	2023	2023	2022	2022
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	329,601	(329,601)	(884,090)	884,090	(358,806)	358,806
ევროს ეფექტი (ზარალი) მოგება	(155,070)	155,070	-	-	(1,902)	1,902

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

შპს „საქართველოს სპირტსახდელის გაერთიანება“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, ჯგუფის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. ჯგუფის ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილები შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

31 დეკემბერი, 2024	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივები			
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	23,346,576	-	23,346,576
ფული და ფულის ეკვივალენტები	115,871	-	115,871
სულ	23,462,447	-	23,462,447
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,114,999	-	10,114,999
საიჯარო ვალდებულებები	153,083	612,328	765,411
სესხები	20,717,069	33,481,475	54,198,544
სულ	30,985,151	34,093,803	65,078,954
ლიკვიდობის დეფიციტი	(7,522,704)	(34,093,803)	(41,616,507)

31 დეკემბერი, 2023	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივები			
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	169,151	-	169,151
ფული და ფულის ეკვივალენტები	162,672	-	162,672
სულ	331,823	-	331,823
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,089,118	-	6,089,118
სესხები	23,853,445	23,681,880	47,535,325
სულ	29,942,563	23,681,880	53,624,443
ლიკვიდობის დეფიციტი	(29,610,740)	(23,681,880)	(53,292,620)

31 დეკემბერი, 2022	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივები			
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	2,244,480	-	2,244,480
ფული და ფულის ეკვივალენტები	906,591	-	906,591
სულ	3,151,071	-	3,151,071
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,833,621	-	2,833,621
საიჯარო ვალდებულებები	37,625	-	37,625
სესხები	17,623,890	223,801	17,847,691
სულ	20,495,136	223,801	20,718,937
ლიკვიდობის დეფიციტი	(17,344,065)	(223,801)	(17,567,866)

ლიკვიდურობის რისკის სამართავად ჯგუფი იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები.

21. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება სამართლიანი ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- **დონე 1:** აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არა კორექტირებული);
- **დონე 2:** თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- **დონე 3:** არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება;

სამართლიანი ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულების შესაფასებლად.

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს ფიქსირებული ან მცოცავი საპროცენტო განაკვეთით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 7.5%-დან 10%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 22%-დან 24%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფი ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფი ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

შპს „საქართველოს სპირტსახდელის გაერთიანება“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2024; 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია:

31 დეკემბერი 2024				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მფლობელები	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა	
აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	3,130,366	14,105,932	
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(10,835)	(8,240,748)	
მიღებული სესხები	(283,177)	-	-	
2024				
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანია	სხვა	მთავარი მენეჯმენტი
შრომის ანაზღაურება	-	-	-	(179,039)
შემოსავალი	-	2,990,018	2,496,981	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-	-	(8,939,786)	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	-	(19,675)	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	-	26,531	25,000	-
საკურსო სხვაობის ეფექტი	483,423	-	316,847	-

შპს „საქართველოს სპირტსახდელის გაერთიანება“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია:

31 დეკემბერი 2023			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა
აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	228,646	-
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(44,935)	(3,011,543)
მიღებული ავანსები	-	-	(2,010,262)
მიღებული სესხები	(16,835,549)	-	-
2023			
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანია	მთავარი მენეჯმენტი
შრომის ანაზღაურება	-	-	88,125
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	-	(6,000)	-
საპროცენტო ხარჯი	(157,230)	-	-
შემოსავალი	-	1,400,770	-

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია:

31 დეკემბერი 2022			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა
აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	239,008	-
მიღებული ავანსები	-	3,310,199	-
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(5,714)	(352,077)	-
მიღებული სესხები	(16,870,479)	-	-
2022			
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანია	მთავარი მენეჯმენტი
შრომის ანაზღაურება	-	-	(93,500)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	-	(6,000)	-
საპროცენტო ხარჯი	933,645	-	-
შემოსავალი	-	11,082,837	-

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კომპანიამ დაფარა სს საქართველოს ბანკის სესხის ძირი საერთო ოდენობით: 12,437,491 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს საქართველოს სპირტსახდლების გაერთიანება

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება და

2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „საქართველოს სპირტსახდელეების გაერთიანება“
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ჩვენ შესახებ

შპს „საქართველოს სპირტსახდელეების გაერთიანება“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2017 წლის 13 ივლისი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 405218492.

მშობელი კომპანიის დამფუძნებლები და საბოლოო მესაკუთრეები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023	2022
აქციონერები	წილი	წილი	წილი
ვახტანგ კარიჭაშვილი	80%	80%	80%
გიორგი ღამბაშიძე	20%	20%	20%
სულ	100 %	100 %	100 %

შპს საქართველოს სპირტსახდელეების გაერთიანება წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას. კომპანიის მიერ ფლობილი წილები სხვა კომპანიებში არის შემდეგი:

კომპანია	ურთიერთობის სახე	2024	2023	2022	საქმიანობის სახე
შპს უნივერსალ სპირიტს	შვილობილი	100 %	100 %	100 %	ალკოჰოლური სასმელების წარმოება და დისტრიბუცია

აღნიშნული კომპანიები ერთობლივად მოხსენიებულია მიმდინარე კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში, როგორც „ჯგუფი“.

შპს საქართველოს სპირტსახდელეების გაერთიანები-ს ღირებულება: ირაკლის ბექაური

ჩვენი საქმიანობა

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპირტის წარმოება და საბითუმო ვაჭრობა, ასევე სპირტის წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფს გააჩნია გამართული საადრიცხო სისტემა, რომელიც მაქსიმალურად ავტომატიზირებულია და უზრუნველყოფს საქმიანობის შეუფერხებელ წარმართვას.

რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამოდინარეობს კრედიტით გაყიდული მომსახურებიდან. კრედიტით გაყიდვები ხდება მხოლოდ საიმედო და გამოცდილ მომხმარებლებზე. მუდმივად ხდება გადახდების მონიტორინგი. ხდება თითოეული მომხმარებლის ფინანსური შესაძლებლობების შესწავლა, გადაწყვეტილების მიღება საქონლის მიწოდებასა და კონსიგნაციის პირობებთან დაკავშირებით ხდება ამ შესწავლის საფუძველზე.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ახორციელებს აღნიშნული რისკის მართვას ფასების ლავირების მეშვეობით.

კაპიტალის რისკი. ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას. ჯგუფი მკაცრად აკონტროლებს როგორც დებიტორულ, ასევე კრედიტორულ

შპს „საქართველოს სპირტსახდელეების გაერთიანება“
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

დავალიანებას და უზრუნველყოფს ოპერირებისთვის საკმარისი სახსრების აკუმულირებას.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

წარმოგიდგენთ ჯგუფის ფინანსურ შედეგებს 2024 და 2023 წლების მიხედვით.

მომგებიანობის კოეფიციენტი	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	-2%	54%
საოპერაციო მოგების მარჟა	-27%	16%
წმინდა მოგების მარჟა	-25%	-15%
უკუგება კაპიტალზე	-47%	-6%
უკუგება აქტივებზე	-11%	-1%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი		
ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.003	0.005
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.832	1.376
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.698	0.015

ირაკლი ბეჟაური

დირექტორი

28 ნოემბერი 2025

დავალიანებას და უზრუნველყოფს ოპერირებისთვის საკმარისი სახსერების აკუმულირებას.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

წარმოგიდგენთ ჯგუფის ფინანსურ შედეგებს 2024 და 2023 წლების მიხედვით.

მომგებიანობის კოეფიციენტი

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	-2%	54%
საოპერაციო მოგების მარჟა	-27%	16%
წმინდა მოგების მარჟა	-25%	-15%
უკუგება კაპიტალზე	-47%	-6%
უკუგება აქტივებზე	-11%	-1%

ლიკვიდურობის კოეფიციენტი

ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.003	0.005
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.832	1.376
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.698	0.015

ირაკლი ბეჟაური

დირექტორი

28 ნოემბერი 2025

